საქსტატი
www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2017

იანვარი

03.02.2017
www.geostat.ge

03.02.2017

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის იანვარი

2017 წლის იანვარში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 2,9 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 3,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის საშუალოსთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 22,5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი **წინა თვესთან შედარებით** ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	4.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.2
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-1.4
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.5
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	1.8
ჯანმრთელობის დაცვა	1.7
ტრანსპორტი	7.2
კავშირგაბმულობა	0.3
დასვენება, გართობა და კულტურა	0.4
განათლება	0.1
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	-0.4
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.7
ინფლაციის დონე, სულ	**2.9**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის იანვრის ინფლაციაში (სულ 2,9%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 4,2 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფმა 1,27 პროცენტული პუნქტი წვლილი შეიტანა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში. ფასები გაიზარდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (22,4 პროცენტი), ხილისა და ყურძნის (8,9 პროცენტი), რძის, ყველისა და კვერცხის (3,1 პროცენტი), ზეთისა და ცხიმის (3,1 პროცენტი), თევზეულის (2,8 პროცენტი) და ხორცისა და ხორცის პროდუქტების (2,5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 7,2 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,94 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (10,1 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (4,9 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის **იანვრის წლიური ინფლაციის** მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.3
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	18.9
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-6.0
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.2
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.8
ჯანმრთელობის დაცვა	2.5
ტრანსპორტი	10.8
კავშირგაბმულობა	4.6
დასვენება, გართობა და კულტურა	0.5
განათლება	1.4
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1.2
ინფლაციის დონე, სულ	**3.9**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის იანვრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 3,9%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 10,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,35 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (16,0 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო: ფასები გაიზარდა 18,9 პროცენტით და შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,14 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის ქვეჯგუფზე (40,2 პროცენტი);

მოცემულ პერიოდში ფასების 3,3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა **სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების** ჯგუფზე, რაც 0,99 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასების ზრდა დაფიქსირდა ქვეჯგუფზე - შაქარი, ჯემი, თაფლი, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი (16,0 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge